# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11-12(169-170) 2018 წ. 1-30 ივნისი ფასი 1 ლარი

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

**1 ივნისი** - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1950 წლიდან მრავალ ქვეყნაში აღინიშნება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონვენციებს მიერთებულ ქვეყნებს ეს თარიღი შეახსენებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ თითოეული ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხელმისაწვდომი განათლებისა და ცხოვრების სათანადო პირობებით სარგებლობის უფლებათა განხორციელება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისთვის ამ დღის აღნიშვნა განსაკუთრებულ ტრადიციას წარმოადგენს. არც წლევანდელი 1 ივნისი ყოფილა გამონაკლისი: მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და საგარეჯოს ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" თანამშრომლები ქალაქ საგარეჯოს ექვს, ასევე ნინოწმინდისა და გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას ესტუმრნენ. მერიის ხელმძღვანელობის სახელით, დაწესებულების აღსაზრდელებს ეს დღე მიულოცეს, 500-ზე მეტი ნაყინი, ფერადი ცარცები და საჰაერო ბუშტები გადასცეს. სტუმართა ყურადღებით გახარებული ბავშვები ერთმანეთს ფერადი ცარცებით ასფალტზე ხატვაში შეეჯიბრნენ.





## იორმუღანლოში ახალი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა

**16 ივნისს**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა სოფელ იორმუღანლოში სამედიცინო ცენტრი „დიაგნოზი" ***(კლინიკური დირექტორი მაია ანუაშვილი)*** საზეიმო ვითარებაში გახსნა.




ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე, მაღალი ხარისხის აპარატურით. პაციენტებს მოემსახურებიან როგორც ადგილობრივი ქართველი და აზერბაიჯანელი ექიმები, ასევე თბილისიდან - წმინდა მიქაელის სახელობის საავადმყოფოდან და კლინიკა „მზერადან" მოწვეული, ყველა მიმართულების მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. პაციენტებს ადგილზე ჩაუტარდებათ ლაბორატორიული, ექოსკოპიური და რენტგენოგრაფიული გამოკვლევები.



სამედიცინო ცენტრ „დიაგნოზს" აქვს არა მხოლოდ პოლიკლინიკის, არამედ ემერჯენსისა და დღის სტაციონარის პროფილიც. შესაბამისად, 24 საათიან გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს ადგილობრივ მოსახლეობას.

***„- ყველასთვის ცნობილია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანელები საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. მათ სამედიცინო მომსახურების მისაღებად ქალაქ საგარეჯოში, ანუ საცხოვრებელი ადგილიდან საკმაო მანძილზე უწევდათ სიარული. „დიაგნოზი" პირველი კლინიკაა, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვან სოფლებში იფუნქციონირებს. ამ ფაქტს გულითადად ვულოცავ ჩვენს მოძმე აზერბაიჯანელებს, რომლებიც ამიერიდან სწრაფი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ,"***- განაცხადა **გიორგი ერბოწონაშვილმა.**



სამედიცინო ცენტრის გახსნას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი,** ***მოადგილეები*** **ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი,** ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი,** ***საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი*** **რომან მუჩიაშვილი** და ადგილობირივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



---

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

**ფრიდონ ბურდული**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

№11-12(169-170) 2018 წელი, 1-30 ივნისი

# მუნიციპალური გვერდი

## პროექტი, რომელიც სიკეთეს გვპირდება

## მთის სოფლებში მოეწყობა გარე–განათება, საბავშვო ბაღი



**საგარეჯოს** ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 მაისის სხდომაზე – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა,** როგორც მან აღნიშნა:

– პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები იზრდება 300 181 ლარით, შესაბამისად გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით 300 181 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე იზრდება 136 276 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №955 განკარგულებით „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 300 181 ლარი, რის გამოც.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:**

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №955 განკარგულებით 2018 წელს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

1) გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯებში დაემატა 121504 ლარი; **კერძოდ, დაფინანსდა:**

ა) **სოფელ გომბორში** გარე განათების მოწყობა 83 330 ლარით;

ბ) **სოფელ კოჯბანში** გარე განათების მოწყობა 38174 ლარით;

2) განათლების ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდას დაემატა 178677 ლარი, დაფინანსდა **სოფელ კოჯბანში** ***საბავშვო ბაღის მოწყობა.***

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების 5%-ით თანადაფინანსება გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საკრებულოს შრომის ანაზღაურების ფონდი შემცირდა 4600 ლარით და დაემატა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯს.

საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდას დაემატა 9676 ლარი.

მერიის შრომის ანაზღაურების ფონდი შემცირდა 95172 ლარით, აქედან 84172ლარი დაემატა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯს და 11000 ლარი ა(ა)იპ რაგბის კლუბ „პატარძეულის ვეფხვების“ სუბსიდიას.

მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა (ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის თანხა) შემცირდა 9676 ლარით. საქონელი და მომსახურება გაიზრდება 2600 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკა – გრეიდერი გადაეცა შპს „საგარეჯოს“ და მისი ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან 2600 ლარი დაემატება მერიის საქონელი და მომსახურებას (საწვავის ხარჯი).

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის ხარჯებიდან 10000 ლარი დაემატება ა(ა)იპ რაგბის კლუბ „პატარძეულის ვეფხვების“ სუბსიდიას.

4000 ლარით გაიზრდება საგამომცემლო საქმიანობის სუბსიდია, შესაბამისად შემცირდება სოციალური პროგრამა.

**ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) უნდა დაფინანსდეს:**

1) **სოფელ უდაბნოში** საზოგადოებრივი ცენტრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები 30000 ლარი;

2) **ქ.საგარეჯოში** ლეონიძის ქუჩა№4-ში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლის აივნის გამაგრების სამუშაოები 25375 ლარი.

***3) სკოლამდელი დაწესებულებების შენობებში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 80901 ლარით:***

ა) **ქ.საგარეჯოს №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში** სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 2164,13 ლარი;

ბ) **ქ.საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში** სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 15141,98 ლარი;

გ) **სოფელ ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში** სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 15402,09 ლარი;

დ) **სოფელ პატარა ჩაილურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 9221,52 ლარი;

ე) **სოფელ გომბორის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 6892,8 ლარი;

ვ) **სოფელ ბადიაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 15642,98 ლარი;

ზ) **სოფელ გიორგიწმინდის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა 16435,04 ლარი;

სულ წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 136 276 ლარი.

## რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება საგარეჯოში

**მიმდინარე** წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18 პროექტი დაფინანსდა.

**განხორციელდება** მარჯანიშვილის, მამისაშვილის (პირველი და მესამე შესახვევი), ჩოლოყაშვილის, თავისუფლებისა და ლესელიძის ქუჩების **რეაბილიტაცია**, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 332 500 ლარი დაიხარჯება, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 17 500.

დაგეგმილია საფეხბურთო სტადიონისა და საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციაც. ორივე მიმართულებით მთლიანობაში 533 412 ლარია გათვალისწინებული.

სოფელ პატარძეულში მიმდინარე ჩიხლაანთ უბნის გზის **მოასფალტების** სამუშაოებისთვის 427 481 ლარია გამოყოფილი რეგიონული განვითარების ფონდიდან და 22499 ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. კაკაბეთში, მთელი სოფლის მასშტაბით, მოეწყობა **სასმელი წყლის ქსელი**. ასევე **მოასფალტდება** ვერხვიანისა და ყანდაურის დამაკავშირებელი გზა, ამისთვის მთლიანობაში 198 000 ლარია გათვალისწინებული. საგარეჯოს №5 საბავშვო ბაღს ჩაუტარდება რეაბილიტაცია, ასევე სოფელ მანავში მოეწყობა გადასასვლელი ხიდი.

**რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს, ასე გამოიყურება:**

**– საგარეჯო-ნინოწმინდის** დამაკავშირებელ გზაზე არსებული გარე განათების ნათურები შეიცვლება ე.წ. ლედ-განათების ნათურებით. პროექტის ღირებულებაა 35000 ლარი;

**- სოფელ გიორგიწმინდაში** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება 40 000 ლარი;

**- ქალაქ საგარეჯოსა და სოფელ ნინოწმინდაში** სანიაღვრე არხების მოსაწყობად გათვალისწინებულია 35 000 ლარი;

**- სოფელ წყაროსთავში** მოეწყობა ჭაბურღილი, პროექტის ღირებულება 25 000 ლარს შეადგენს;

**- ქალაქ საგარეჯოში, სადგურის ზედა უბანში** მოეწყობა ჭაბურღილი და რეზერვუარი. პროექტის ბიუჯეტი 40000 ლარია;

**- სოფელ ანთოკში** გარე განათების მოსაწყობად 10 000 ლარი გამოიყოფა;

**- სოფელ პატარძეულში**, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის მოასფალტებაზე 50 000 ლარი დაიხარჯება;

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

### 4 ივნისი, 2018 წელი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის 4 ივნისის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები ესწრებოდნენ. მერის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებსა და პრობლემებზე იმსჯელეს და თითოეული საკითხის მოგვარებაზე დაისახა გეგმა, რომლის განხორციელებაზე დავალებები მიეცა შპს “საგარეჯოს” და აიპ “სასმელი წყლების რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის” ხელმძღვანელებს.

თათბირს უძღვებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები*** **ლექსო გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი**.



### 12 ივნისი, 2018 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე*** **ლექსო გილაშვილი** უძღვებოდა. თათბირს მერის წარმომადგენლები თემებსა და ტერიტორიულ ერთეულებში, მერიის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების გამგე ბექა ფეიქრიშვილი და მერის წარმომადგენლებთან მუშაობის განყოფილების უფროსი ნიკა დიღმელაშვილი ესწრებოდა.

თათბირზე დიდი დრო და ყურადღება დაეთმო უხვნალექიანი წვიმების შედეგად თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში შექმნილ ვითარებას. როგორც მერის წარმომადგენლებიდან წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაციიდან გაირკვა, წვიმების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ცალკეული სოფლების შიდა საუბნო გზები. პატარძეულის მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელის გულნაზ გიუნაშვილის ინფორმაციით, საგრძნობლად დაზიანდა სოფლის თითქმის ყველა ქუჩა, განსაკუთრებით კი, მეცამეტე ე. წ. “ნუშების ქუჩა”, რომლითაც მოსახლეობა სასაფლაომდე მისასვლელად იყენებს. მისი თქმით, აღნიშნული ქუჩიდან წვიმის წყალმა ქვა – ღორღი პირდაპირ ასფალტიან გზაზე ჩამოიტანა და ამასთან ერთად, გზა დახრამულია. ასეთივე მდგომარეობაა სოფლის მთელ რიგ ქუჩებზე.

ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი სოფელ ხაშმშიც, სადაც სოფლის თითქმის ყველა გზა დახრამულია, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საჯარო სკოლის გზა, სადაც ისედაც სავალალო მდგომარეობა იყო მანამდეც შექმნილი. როგორც სოფლის მერის წარმომადგენლიდან ზურაბ ყირმელაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან გაირკვა, ხაშმში არსებული ე. წ. “აჭარლების დასახლებაში” არსებული სანიაღვრე არხები მთლიანად ამოივსო ტყიდან ჩამოტანილი მიწის ნაშალით და საჭიროებს ამოწმენდას, ასევე, საყურადღებოა “ლაფიანხევიდან” მოწოდებული სასმელი წყლის დებეტი და ხარისხი. აქ სასმელი წყლის მილის შეცვლაა საჭირო გარკვეულ მონაკვეთზე, ასევე, გარე განათების მოწყობაა საჭირო ერთ მონაკვეთზე. მანავის მერის წარმომადგენლის ალიკა სტეფანიშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სოფელთან ჩამომავალი “ მღვრიეს წყალი”ტბორავს და აზიანებს სოფლის სავარგულების 60 ჰექტარს, ასევე, სოფლის ზოგიერთ უბანში მოსაწყობია სანიაღვრე არხი.

სოფელ სათაფლის მერის წარმომადგენლის ემზარ გორგილაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით აუცილებელი ხდება გარკვეულ მონაკვეთზე გრეიდერის გატარება, რაც აუცილებელი ხდება 11 ივნისის ღამით მოსული სეტყვის შემდეგ, რის შედეგადაც აქ დაზიანდა ნათესების 40 %.

იორმუღანლოს მერის წარმომადგენლის ნათიკ რასულოვის თქმით, ღამით მოსული წვიმის ნიაღვრებმა სოფლის თავში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელიდან ნაგავი სოფელ ქეშალოში ჩაიტანა, რის გამოც აქ მხოლოდ მუხლუხოიანი ტრაქტორი თუ შეძლებს მუშაობას.. გასულ წელს სოფელ ქეშალოში 400 მეტრი სიგრძის არხი გაკეთდა, ახლა აქ აუცილებელია 140 მეტრი სანიაღვრე არხის დასამატებლად სამუშაოების გაგრძელება.

ასევე, სოფლად არსებული პრობლემები წარმოადგინეს დანარჩენი სოფლებიდანაც. როგორც მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ლექსო გილაშვილმა აღნიშნა, უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს სასმელი წყლების შემკრები აუზების მოწესრიგებას, სათავე-ნაგებობებს, ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი სოფლებში: მზისგულში, კოჭბანში, ხაშმსა და უჯარმაში, სათაფლე- პალდოს სასმელი წყლის მაგისტრალზე, გიორგიწმინდაში, ანთოკში, პატარა ჩაილურში, ყანდაურაში.

თათბირის დასასრულს კონკრეტული დავალებები მიეცათ შპს “საგარეჯოს” დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს, შპს “სუფთა მუნიციპალიტეტი-2018”-ის დირექტორს თემურ (თედო) ილაურს, აიპ “საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის” დირექტორს ოთარ ბუზარიაშვილს.

# სოფლის მეურნეობა

## ის, რაც მივიწყებულია...
## ვარდი, როგორც მცენარე – ინდიკატორი



**ძველი** ტრადიცია ვენახის თავსა და ბოლოში ვარდის დარგვა - შემორჩენილია თითქმის ყველა განვითარებული მევენახეობის ქვეყანაში, საქართველოში ყვარლელ მევენახეებს აქვთ ვენახებში დარგული.

ვარდის ბუჩქის მდგომარეობით პრაქტიკულად უშეცდომოდ და დროულად შეიძლება განისაზღვროს ვაზის მოსალოდნელი დაავადებები, როგორიცაა ნაცროვანი სოკოები,ტკიპა, ფესვების სიდამპლე, ბაქტერიული კიბო და ა.შ. რადგან ვარდი უფრო მგრძნობიარეა და ზუსტად ერთი დღით ადრე (ზოგიერთი მონაცემებით ერთი კვირით ადრე) შეიმჩნევა მასზე დაავადების ნიშნები,გარდა ამისა,მისი ფოთლების მდგომარეობით შეიძლება მსჯელობა ნიადაგში მინერალების ნაკლებობაზე.მაგალითად, ვარდის ფოთლების სიყვითლე შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგში რკინის ნაკლებობით. ამგვარად,იგი შესანიშნავი ინდიკატორია,რომელიც განუწყვეტლივ "დაკვირვებას აწარმოებს" ვაზზე.

საფრანგეთში მე-19 საუკუნეში,მას შემდეგ,რაც ფილოქსერამ თითქმის ვენახები ყველგან გაანადგურა,მეღვინეებმა ინანეს ძველი ტრადიციის დავიწყება,რომელიც ამ ეპიდემიის დროს გამოადგებოდათ. სწორედ ამის შემდეგ აღადგინეს ვარდის დარგვის ტრადიცია.

დღეს ვარდს,როგორც დაავადების ინდიკატორს ისე ხშირად აღარ იყენებენ, მაგრამ ვარდს მაინც რგავენ სილამაზის გამო და იმ მწერების ალტერნატიულ გარემოსათვის, რომლებიც აზიანებენ ვაზს.

## ინფრასტრუქტურა-2018
## მანავსა და დიდ ჩაილურში

**სოფელ** მანავში, ბურდიანის უბანს და სოფელ დიდ ჩაილურს სასმელი წყლის მიწოდება ერთი პერიოდით ტექნიკური მიზეზების გამო შეუწყდა. კერძოდ, ორი სოფლის დამაკავშირებელი სასმელი წყლის მილი 1952 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შესაბამისად, სერიოზულად იყო დაზიანებული.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის დავალებით, ა.ა.ი.პ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრმა" დაზიანებული ადგილები უმოკლეს დროში დაადგინა და 30 მეტრის სიგრძეზე 114 მილიმეტრიანი დიამეტრის მილის ამოცვლის სამუშაოები განახორციელა.

ამ დროისთვის, აღნიშნულ სოფლებში სასმელი წყლის მიწოდება აღდგენილია.

## თულარში

**უკვე** მესამე კვირაა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აზერბაიჯანულენოვან სოფლებში მასშტაბურ პროექტს ახორციელებს: აღსანიშნავია, რომ 30 წელზე მეტია, აქაურ მოსახლეობას გაუწმენდავი სარწყავი არხები სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ერბოწონაშვილმა შპს „საგარეჯოს" დაავალა,ყველა აზერბაიჯანულენოვან სოფელში გაწმინდოს სარწყავი არხები.



სამუშაოები 24 მაისს დაიწყო. ამ დროისთვის, შპს „საგარეჯოს" სპეც.ტექნიკამ უკვე მოასწრო სოფელ თულარში არსებული არხების გაწმენდა და ორიოდე დღეში სოფელ დუზაგრამაშიც დაამთავრებს მუშაობას.



გიორგი ერბოწონაშვილის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაიწმინდება სარწყავი არხები და მოსახლეობა შეუფერხებლად შეძლებს კუთვნილი მიწის ნაკვეთების მორწყვას.

## „ბუნება მბრძანებელია"...
## სეტყვა ივრისპირეთში

**უხვნალექიანი** გაზაფხული ასეთივე ივნისის პირველმა დეკადამ ჩაანაცვლა. ხშირი წვიმების გამო გაძნელდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები,მაგრამ 10 ივნისს მოსულმა სეტყვამ სხვადასხვა ხარისხით დააზიანა მდინარე ივრის მარჯვენა ზეგანზე გიორგიწმინდის,დუზაგრამისა და იორმუღანლოს მოსახლეობის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.



როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გივი ათაბეგაშვილმა გვაცნობა, ამ დღეს **დაისეტყვა** ზემოთჩამოთვლილი სოფლების სავარგულებზე დათესილი **110 ჰა სიმინდი** და **25 ჰა-მდე ახლად აღმოცენებული საზამთროს ბაღები**. მისი განცხადებით დასეტყვილი სიმინდის ნათესები შეძლებენ თვითრეაბილიტაციას, საზამთროს ბაღებს კი ხელახალი გადათესვა დასჭირდებათ.

## გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე
## ერთი დღე მარიამჯვრის ნაკრძალში

**5 ივნისს** მთელს მსოფლიოში და მათ შორის საგარეჯოშიც, მასშტაბურად, სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღინიშნება გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე. 5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1972 წლის 15 დეკემბერს გამოაცხადა. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას გარემომცველი ბუნების მიმართ, მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობა-შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩაბმას. ამ საყოველთაო მოძრაობაში აქტიურად არიან ჩართული ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალს ადმინისტრაციის მუშაკები, რომელთაც ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი, ზვიად ტიგინაშვილი ჩაუდგა სათავეში. ნაკრძალის ადმინისტრაცია ყოველწლიურად სხვადასხვა სახის აქტივობებს ახორციელებს ამ მსოფლიო მნიშვნელობის საქმეში მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფართოდ ჩასაბმელად.





წლევანდელი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კი, ადმინისტრაციამ 7 ივნისს უშუალოდ მარიამჯვრის ნაკრძალში უმასპინძლა ბადიაურის საჯარო სკოლის VI-VII-და VIII კლასების მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს. აქ მოსულ სტუმრებს ადმინისტრაციის თანამშრომლები ესაუბრნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის ისტორიაზე, მათ მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე და სხვა თემებზე.

ნაკრძალის ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ მოსწავლეებმა ღია ცის ქვეშ მოაწყვეს საზეიმო ღონისძიება, წაიკითხეს ლექსები, იმღერეს.

საზეიმო ღონისძიების მოწყობის შემდეგ ბადიაურელმა პატარა მოქალაქეებმა ნაკრძალის სარეინჯერო ოთახის ეზოში სიმბოლურად დარგეს რამდენიმე ძირი ფოთლოვანი ხეების ნერგი.

იმედია, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალში მოწყობილი ეს ღონისძიება სამახსოვროდ გაჰყვებათ ბადიაურელ მოსწავლეებს და მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებენ ადამიანის გარემომცველი სამყაროს მოვლა-პატრონობის, გაუმჯობესებისა და გადარჩენის საქმეში.

*გ. დაბახიშვილი*





№11-12(169-170) 2018 წელი, 1-30 ივნისი

# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

## დაუვიწყარი შეხვედრა
## პოეტი პატარებთან

**მოზარდთა** სკოლისწინარე განვითარების დიდი გამოცდილება დაუგროვდა თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივი მუშაობის მანძილზე საგარეჯოს №2 სკოლამდელ დაწესებულებას **(მენეჯერი მზია ბეჟიტაშვილი).** წლების განმავლობაში იგი იყო არაერთი საინტერესო საქმის წამომწყები და ორგანიზატორი და არა მარტო რაიონში – თავის სიტყვას ამბობდა ყოველთვის, როგორც რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური ცენტრისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საბაზოსაყრდენი დაწესებულება, სადაც ინერგებოდა და ვრცელდებოდა ეპოქისეულ მოთხოვნათა არაერთი სიახლე, აღზრდისა და სწავლების მეთოდების ახალი სტანდარტები, ტარდებოდა ტრენინგები და საჩვენებელი მეცადინეობები რაიონის პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.



უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აქ სამოქალაქო განათლებას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა ესტეტიკური და პატრიოტული აღზრდა, რადგან ადრეული ასაკიდანვე უნდა შეეჩვიოს ადამიანი თავისი მიწა-წყლის, ხალხის, ენისა და ლიტერატურის, გამორჩეული ადამიანების და საერთოდ, ეროვნული კულტურისა და საუნჯის დაფასებასა და პატივისცემას.

ყოველივე ამის დადასტურება იყო აქ მიმდინარე წლის 22 მაისი. აქ, ბაგა-ბაღში საპატიო სტუმრები ჰყავდათ მოწვეული – თანამემამულე პოეტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიისა და რუსთაველის საზოგადოების წევრი, ფაზისის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი, 12 პოეტური კრებულის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი, გ. ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პატარძეულელი **რომან ზუკაკიშვილი,** რომელსაც ახლახან მიენიჭა „საპატიო გარეჯელის" წოდება და ვაჟა დურგლიშვილი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, არაერთი საბავშვო მუსიკალური ნაწარმოების ავტორი და საერთოდ, დიდი ქართული სამუსიკო კულტურის შემქმნელი კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რომლის ვარსკვლავიც ამშვენებს ფილარმონიის წინ არსებულ ტერიტორიას.

აღსანიშნავია, რომ ამ ორ პიროვნებას აკავშირებს არა მარტო სანიმუშო პირადი მეგობრობა, არამედ მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობაც, მათი ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია ქართული ეროვნული ინტონაციებით გაჯერებული არაერთი სიმღერა, მუზიკლი „პატარა მოგზაურები".

ერთის პოეზია და მეორის მიერ ამ პოეზიაზე შექმნილი მუსიკალური ჰანგები მსმენელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს.

სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კომპოზიტორს პატარები ვერ შეხვდნენ.

დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. აქ იყვნენ წარმომადგენლები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიიდან და საკრებულოდან. შეხვედრას ესწრებოდა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორი ელზა გილაშვილი.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და რ. ზუკაკიშვილისა და ვ. დურგლიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს აღმზრდელებმა ნინო პატაშურმა და ამალია ბერიძემ.

იდეურად და შინაარსიანად შედგენილი მხატვრული პროგრამით, ლიტერატურულ-მუსიკალური კომბინაციით ნორჩმა შემსრულებლებმა, მათ, ვისთვისაც ეს მშვენიერი მუსიკა და ლექსები იწერება – საპატიო სტუმრების შემოქმედების კიდევ ერთხელ წარმოჩენას შეუწყეს ხელი და დამსწრე საზოგადოებას აჩუქეს შესანიშნავი და დაუვიწყარი დღე. შეასრულეს არაერთი სიმღერა, მხატვრულად და გამომეტყველებით წაიკითხეს რომან ზუკაკიშვილის ლექსები, მისი შემოქმედებიდან ხომ ბევრი მათგანი ასე ესადაგება მოზარდთა სულიერ სამყაროს.

შეხვედრამ დაადასტურა, რომ კიდევ ერთი ზნეობის გაკვეთილი ჩაუტარდათ პატარებს.

კარგი იყო ღონისძიება – ადვილია სათქმელად, მაგრამ ძნელია იმ უდიდესი და საპატიო შრომის წარმოჩენა, რომელსაც აქ მომუშავე ადამიანები ასრულებენ. რაც მათ ამ დღისათვის განახორციელეს. პრაქტიკოსები დამეთანხმებიან, რომ მაყურებლამდე და მსმენელამდე აღსაზრდელთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ გზის გავლა ფასდაუდებელია, ეს დიდ ფიზიკურ თუ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს არა მარტო პედაგოგებისაგან, არამედ საბავშვო ბაღის სხვა მომსახურე პერსონალისა და მშობელთა მხრიდან. და ეს კოლექტიური შრომა უნაყოფო იქნება, თუ დაწესებულებას სათავეში არ უდგას დარგის მცოდნე და კომპეტენტური პიროვნება. საგარეჯოს №2 სკოლამდელ დაწესებულებას ხელმძღვანელობს 30 წლიანი გამოცდილების მქონე, სკოლამდელთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრაქტიკოსი, ყოველთვის ენერგიული და შემართული, ამავე საბავშვო ბაღში მასწავლებლად და მეთოდისტადაც ნამუშევარი ქ-ნი მზია ბეჟიტაშვილი, რომელიც ყურადღებას არ აკლებდა თითოეული თანამშრომლის უნარისა და შემოქმედების გამოვლენასა და აღსაზრდელებამდე მიტანას. ამიტომ არიან პატარები მზად ასე კარგად სასკოლო ცხოვრების გამოწვევებისთვის.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ისიც, რომ ამ დაწესებულებაში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის, პედაგოგიური ალღოთი, ინტელექტით, მაღალი კულტურით დაჯილდოვებული პიროვნებები.

მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ჩატარებულ ღონისძიებას. ლექსო გილაშვილმა – მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ლელა მარიდაშვილმა – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ელზა გილაშვილმა – აიპ „სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებათა" დირექტორმა.

დასასრულ პოეტმა რ. ზუკაკიშვილმა გულთბილი მადლობა გადაუხადა მოწვევისათვის ღონისძიების ინიციატორებსა და მონაწილეებს მისი და ვაჟა დურგლიშვილის მოღვაწეობის დაფასებისათვის და თავისი შემოქმედებიდან წაიკითხა ლექსები.

*ნელი ბროლაშვილი,*

***საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის მდივანი.***

## ხსოვნა
### ნაირა ღვინაშვილი

**ოთხი** წელი შესრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ, შვილო ნაირა. უკურნებელმა სენმა 54 წლის ასაკში მოგისპო სიცოცხლე. წახვედი და დააობლე შვილები, რომელთაც შენი სითბო სჭირდებათ.

უიღბლო იყავი ცხოვრებაში. 12 წლის შექმნილი ოჯახი ერთ ღამეში შთანთქა ხანძარმა, დარჩით ცარიელი. მამათილის ოჯახს მიეკედლეთ, ნულიდან დაიწყეთ ახალი ცხოვრება, მაგრამ შენ არ გეღირსა ახალ ოჯახში გახარება. სიცოცხლე გინდოდა, რა დამავიწყებს შენს თხოვნას – მიშველე დედიკო, სიკვდილი არ მინდაო. ვაი, უბედურ დედაშენს, რომ ვერ გიშველე.

დღეს როგორ გაიხარებდი, შენი დათო სტუდენტი გახდა, რაზეც ოცნებობდი.

რამდენ შენს აღზრდილს შეაყვარე შენი საგანი. შენ ხომ შენმა საყვარელმა კატო მასწავლებელმა შეგაყვარა ეს ენა – ინგლისური.

შენი აღზრდილებიდან ზოგიერთი დღეს ამზადებს მანავის სკოლის მოსწავლეებს.



შვილო, შენ ისეთი კეთილი იყავი, რომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ნაირა მასწავლებელო – სახელი შენი უკვდავებაა აწ და მარადის.

ღმერთს ვთხოვ შენს საფლავზე დანთებულმა სანთლებმა ყოველთვის ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი გულმოკლული დედა – ნინო, დები, დისშვილები, ბიძაშვილები, მეუღლე ნოდარი, სიძე ნიკა, შვილები: მარი, დათო, შვილიშვილები – თემური, ნატო, დედამთილი, მაზლი, მაზლისცოლი, მაზლისშვილები, ბიძაშვილები*

## 19 პირველკლასელი – ცოდნის კარიბჭესთან

**გიორგიწმინდის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების **(მენეჯერი ნაზი ჯამალაშვილი)** 19 აღზრდილი სექტემბერში პირველად შეაღებს სკოლის კარს. ულამაზესი გოგო-ბიჭები, სასკოლო ასაკის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნით შეიარაღებული საკმაოდ ამაყად, გაბედულად ჩაერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში, რადგან აქ, საბავშვო ბაგა-ბაღის ამ კედლებში, სადაც დღეს მათ გამოსაშვები ზეიმი აქვთ, მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს თავად მენეჯერმა ნაზი ჯამალაშვილმა, აღმზრდელმა თამარ სუხიაშვილმა, აღმზრდელის თანაშემწემ თამარ კაკუტაშვილმა, ლოგოპედმა ქეთი კოხტაშვილმა, ფსიქოლოგმა თინა მარიდაშვილმა, მეთოდისტმა ნატო ჭიაბერაშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა მზია იანვარაშვილმა და ყველამ, მთელმა კოლექტივმა და რა თქმა უნდა, აიპ "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორმა ელზა გილაშვილმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით და გვერდში დგომით.





საბავშვო ბაღის აღზრდილებს თავი საკმაოდ დამაჯერებლად და ამაყად ეჭირათ. მათ მთელი პასუხისმგებლობით წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები და ის ცოდნა, რაც აქ ბოლო ორიოდე წელში მიიღეს. მათ მაყურებელს , აქ მოწვეულ სტუმრებს აჩვენეს ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარული, იმოგზაურეს მათემატიკური რიცხვების სამყაროში, წარმოადგინეს ქართული ეროვნული და სამეჯლისო ცეკვები, შეასრულეს ვარჯიშები. ყველა მოხიბლა მათ მიერ წარმოთქმულმა ლექსებმა, შესრულებულმა სიმღერებმა.

ზეიმის დასასრულს მათ სიტყვით მიმართა და გზა დაულოცა აღმზრდელმა პედაგოგმა და საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერმა. აღზრდილებს ტრადიციისამებრ საჩუქრები გადასცა ამავე სოფლის ღვთისმშობლის შობის სახელობის მოძღვარმა მღვდელმა გიორგი პავლოვმა და საბავშვო ბაგა-ბაღს სიმბოლური საჩუქრები- ფანარი- დაწესებულების აღსაზრდელების აღზრდის სწორ, განათებულ გზაზე გასაყვანად და რადიო- მათთვის ჭეშმარიტი ცოდნის მისაღებად.

## ივნისი საბავშვო ბაღებში









გარეჯელი მოსწავლე-ახალგაზრდები

# ევროპის კვირეული

**საქართველოს** დამოუკიდებლობისაკენ სავალ გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლე-ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლებას, ბუნებრივია, ფორმალურთან ერთად... ამ კუთხით მრავალი სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და ამ მრავალთა შორისაა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეები და სახლები.

საგარეჯოს აიპ „სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება“ სწორედ ამ სახის საქმიანობით მუშაობს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. ჩვენთან არსებულ „ლიდერთა კლუბთან“ ერთად ძალიან ბევრი შიდა წარმატებული პროექტი განვახორციელეთ: „მელიდერი“, „მოხალისეობა“ , საშობაო და საზაფხულო დღის ბანაკები... . დიახ, ჩვენს წარმატებად მიგვაჩნია ის ტრენინგ-კურსები, რასაც ვნერგავთ და ჩვენი მოხალისეებისა და „ლიდერთა კლუბის“ წარმომადგენლებთან ერთად მიგვაქვს სხვა თინეიჯერებამდე, ვცდილობთ ჩვენი საქმის პოპულარიზაციას სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლებში... გვიყვარს სიახლეებთან შეჭიდება და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრება... უკვე წლებია ჩვენი ინიციატივით ყოველწლიურად ხორციელდება „ევროპის კვირეული“. წლევანდელი კვირეულის პროგრამა ასეთი იყო: 3 მაისი – თემატური გამოფენა-„მოგზაურობა ევროპაში”, 4-5 მაისი – ევროპარლამენტის მოდელირება, 7 მაისი – ლიტერატურული კონკურსი შემოქმედი მოსწავლეებისათვის „გზა ევროპისაკენ”, 9 მაისი – კვირეულის დახურვა, დაჯილდოება. წლევანდელი ევროპის კვირეულის სიახლეა „ევროპარლამენტის მოდელირება“-, რომელიც ტრადიციად იქცევა. ჩვენი ლიდერთა კლუბის ბევრი მოსწავლეა ნამყოფი სხვადასხვა სახის მოდელირებებზე... სწორედ ამან განაპირობა შეგვექმნა საორგანიზაციო კომიტეტი და დაგვეწყო მუშაობა... წინაპირობა იყო ძალიან რთული-- ძიების, შეთანხმებების. დელეგატების შერჩევა მოხდა აპლიკაციის საფუძველზე... შეირჩა 24 დელეგატი, შეიქმნა 3 მიმართულების კომიტეტი: 1. განათლების -- ეთერ ცხვარიაშვილი და ნიკოლოზ



გვარიძიშვილი, 2. ბავშვთა უფლებების -- მარიამ და ნუცა გაგნიაშვილები, 3. ევროინტეგრაციის-საიმიგრაციო – გიორგი ესაიაშვილი და გვანცა მალაციძე.

3 მაისს კვირეული გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენით-- „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (პედაგოგები: ქეთევან ცხვარიაშვილი და ნათელა გიუნაშვილი), და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა (პედაგოგი ნინო ჯანგულაშვილი).

4-5 მაისს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ევროპარლამენტის მოდელირება საზეიმოდ გაიხსნა. მოდელირების ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლები: ირმა მინესაშვილი, ნინო მეზვრიშვილი და ქეთი ხაბაზიშვილი, ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სწჯს საგარეჯოს ფილიალის მენეჯერი მაია ალექსიშვილი, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის” 1-ლი თაობის ლიდერი ნუცა ბასილაშვილი.




საზეიმო გახსნის შემდეგ მთელი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ ახალგაზრდები კომიტეტებში სხვადასხვა პრობლემებზე, გადაჭრის გზებზე. შესვენებისას ერთობოდნენ კიდეც...როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, გუნდური მუშაობა ძალიან საინტერესოა კონსესუსამდე მისასვლელად ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მეორე დღეს კვლავ გაგრძელდა მოდელირებული დისკუსიები, მსჯელობა, სპიკერების არჩევა, რეზოლუციებზე მუშაობა! სიურპრიზები... ხალისიანი, საქმიანი და წარმატებული ახალგაზრდები! დღის მეორე ნახევარი--ეს გახლდათ ძალიან ოფიციალური ნაწილი - კონფერენცია, კომიტეტების რეზოლუციების წარდგენა, საუკეთესო სპიკერების საუკეთესო გამოსვლა. მსჯელობა, შეფასება, აღიარება... ნიჭის ზეიმი. მსგავსი მოდელირებები მრავალჯერ ჩატარდება და ტრადიციად იქცევა, მოდელირების ყველა მონაწილეს გადაეცა ორენოვანი სერთიფიკატი. ორგანიზატორებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები - წიგნები, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნა გადმოცემული...

7 მაისს გაიმართა შემოქმედი მოსწავლეების შეხვედრა და ესეების განხილვა...

9 მაისს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და მისი „ლიდერთა კლუბის” ორგანიზებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში ევროპის კვირეულის დახურვა გაიმართა. ეზოში თავი მოიყარეს კვირეულის მონაწილეებმა, პედაგოგებმა, ინტელექტგუნდებმა... ყველა კუთხეში სხვადასხვა აქტივობა მიმდინარეობდა: ინტელექტუალური თამაშები, „პასპორტობანა” სახალისო სპორტული და სხვა კონკურსები... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა ევროპის, საქართველოს და სხვა ევროპული სახელმწიფოების დროშებით მოხატეს პატარები, პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა საინტერესო კომპოზიცია წარმოადგინეს, ფრანგული წიგნების და ბავშვთა ნახატების გამოფენაც მოაწყეს და ინტელექტთამაშიც ჩაატარეს, რომლის გამარჯვებულს საჩუქრად წიგნი გადასცეს. ძალიან საინტერესო ინფორმაცია წარუდგინეს მსმენელთ გიორგიწმინდის საჯარო სკოლის ინტელექტგუნდის მოსწავლეებმა ესპანეთის შესახებ..ჩვენი სტუმარი იყო საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ კახეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი ბექა ექსეულიძე. დაიწყო ღონისძიების მთავარი ნაწილი: კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება--გამოფენის გამარჯვებული გახდა თოხლიაურის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ფოცხვერაშვილი, მე-2 ადგილი პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი ლაფერიშვილმა დაიკავა, ხოლო მე-3 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლემ ლიზი ჯანიაშვილმა.. ლიტერატურულ კონკურსში 1-ლი ადგილი დაიკავეს წყაროსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ გაგნიაშვილმა და ნუცა გაგნიაშვილმა, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარია შიოშვილმა, მე-2 ადგილი დაიკავეს საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ანი ხითარიშვილმა, ნატა ქაიხოსროშვილმა და ლიზი ასთავიშვილმა, მე-3 ადგილი ასევე საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ლალი გარსიაშვილმა და ირაკლი მატიაშვილმა. მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და ყველა მონაწილეს ერთ წიგნად აკინძული ესეების კრებული.

ევროპარლამენტის მოდელირების მონაწილე 3 საუკეთესო „სპიკერს” საჩუქრები გადასცა საინფორმაციო ცენტრის ნატოს და ევროკავშირის შესახებ კახეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ბექა ექსეულიძემ. მოდელირების ორგანიზატორებმა სხვადასხვა კომიტეტების მიერ გამოვლენილ საუკეთესო დელეგატებს მოსწავლე-ასხალგაზრდობის სახლის საჩუქრები და დიპლომები გადასცეს. განათლების კომიტეტიდან დაჯილდოვდნენ ანანო სუხაშვილი--„სპიკერი” და გიგი ჩიტიძე და ანტონიო ყულოშვილი; ბავშვთა უფლებების კომიტეტის ხელმძღვანელებმა მარიამ და ნუცა გაგნიაშვილებმა დააჯილდოვეს საუკეთესო დელეგატები: გიორგი გელოვანი და გიორგი მახარაშვილი, ამ კომიტეტის საუკეთესო სპიკერი რუსკა ბუხნიკაშვილი; ევროინტეგრაციის --საიმიგრაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი ესაიაშვილმა დააჯილდოვა თავისი კომიტეტის საუკეთესო დელეგატები ლიკა მათიაშვილი და ნინო ბუზარიაშვილი, ამ კომიტეტის საუკეთესო სპიკერი გახდა მაკა არჩუაძე.. დაბოლოს--მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მადლობის ფურცელი პროექტის მხარდაჭერისათვის გადაეცა ბექა ექსეულიძეს.

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის კვირეულის ორგანიზატორებს: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებით გაერთიანებას და მის „ლიდერთა კლუბს”, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, საგარეჯოს ოთხივე, წყაროსთავის, ნინოწმინდის, პატარძეულის, გიორგიწმინდის, თოხლიაურის, დიდი ჩაილურის საჯარო და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის დირექციებს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს პროექტის მხარდაჭერისა და წარმატებით განხორციელებისათვის...

*თამარ ჯაბადარი,*

***ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი***

# საგარეჯოს საჯარო სკოლებში „ბოლო ზარი“ დაირეკა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ***379 მეთორმეტეკლასელებს*** წელს „ბოლო ზარმა“ ცხოვრების ერთი ლამაზი ეტაპის დასასრული ამცნო.

საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის 42 მეთორმეტეკლასელს სკოლის დამთავრება სკოლის დირექტორმა (ლელა ფანოზიშვილი), მასწავლებლებმა, მეგობრებმა, სკოლელებმა მიულოცეს.












# „ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“
# გარეჯელები – მიზადასახული და წარმატებული

ერთი პატარა მუნიციპალიტეტია საგარეჯო, მაგრამ იმდენი სასახელო ახალგაზრდა იზრდება აქ, ეს პატარა (გეოგრაფიულ რუკაზე) რაიონი უკვე საქართველოს გარეთაც გაიცნეს. დიახ, გაიცნეს, რომ ჩვენთან ნიჭიერი, უზადოდ პერსპექტიული ახალგაზრდები იზრდებიან, რომ კარგად იციან თავიანთი მშობლიური ადგილების ისტორია, სულის ტკივილამდე უყვართ ქართული მიწა და მის უდრუბლო ზეცას ამაყად შესცქერიან.

დიახ, ეს ის ახალგაზრდები არიან, ის მომავალი თაობაა, რომელთაც პირველი ნაბიჯები ღირსეულად გადადგეს შორეულ ამერიკასა თუ ევროპაში, რუსეთში, კვლავ შეახსენეს, რომ გარეჯელები ნიჭიერები, შრომისმოყვარეები და დაუმარცხებლები არიან.

დღეს სწორედ მათ გაგაცნობთ.

## მომღერალი

### ლუკა მარტიაშვილი



**საგარეჯოს** მეოთხე საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი, სტუდია „მირელას“ სოლისტი, საგარეჯოს ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ წევრი, კომუნიკაბელური და მართლაც ქართველი კაცი. ერთმანეთი სოციალურმა ქსელმა გაგვაცნო, საკმაო ინტერესი გაჩნდა სცენაზე წარმატებული ბიჭის გაცნობისა და ჩვენი შეხვედრაც შედგა. საუბარში „საერთო ნაცნობებიც“ აღმოჩნდნენ - მშობლები.

***–ლუკა, „მირელა“-ში როგორ მოხვდი? – ვეკითხები.***

-კლასის ზეიმზე ვიმღერე და ის ჩანაწერი შემთხვევით მოხვდა საგარეჯოს კულტურის სახლის თანამშრომელთან და როცა მომისმინა, რატომ არ მოდის ჩვენს მომღერლებთანო და მეც მომიყვანა დედამ,- მპასუხობს.

***-ცეკვაზე?***

-რა ვიცი, ჩემი კლასელები დადიოდნენ ცეკვაზე, მაშინ პირველ კლასში ვსწავლობდით და ძალიან აღფრთოვანებულები იყვნენ, დავინტერესდი, მეც გავყევი მათ და ასე დავრჩი „იმედის“ წევრად, აგერ, მეხუთე წელია. „მირელა“-შიც 5 წელიწადია...

***– შენს გამოსვლებს მეც ინტერესით ვადევნებ თვალს და არა მარტო შენსას, ძალიან კარგები ხართ ყველა,- ვეუბნები ლუკას.***

– გეთანხმებით, ჩემი მეგობრები მართლაც ძალიან კარგები არიან, ძალიან ნიჭიერები და კიდევ, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.,- მპასუხობს გაბრწყინებული თვალებით, - მარინა მასწავლებელმა ისე დაგვაკავშირა და შეგვაყვარა ერთმანეთი, რომ ჩვენ მართლაც ერთმანეთის გარეშე ვეღარ ვძლებთ. თან ერთმანეთის გულშემატკივრები ვართ ყველაფერში.

***– რომელი სიმღერა გიყვარს, რომელსაც ხშირად ღიღინებ და სიმღერის დროს სიამოვნებით ასრულებ?***

– „ჩიორა“.

***– ლუკა, იქნებ წარმატებებზეც გვესაუბრო?***

- ჩვენ ერთად გვაქვს ძალიან ბევრი წარმატებები. პირადად მე „ ოქროს ვარსკვლავის“ კონკურსზე მესამე ადგილი ავიღე, ბათუმში გამართულ კონკურსში კი -პირველი ადგილი.

***– რომელი ცეკვა მოგწონს?***

– კახური.

***-როცა ქართული ეროვნული ტანსაცმელი გაცვია და გამოდიხარ სცენაზე, რას გრძნობ ამ დროს?***

- თითქოს პასუხისმგებლობა მემატება, მხრებში ვიშლები, სიამაყე შემოდის ჩემში და სულ სხვანაირი ვხდები-უფრო ლაღი, გაბედული...

***– სკოლაში ვინ იყო შენი პირველი მასწავლებელი?***

– ირმა შველიძე,- რაღაცნაირი თბილი ტემბრით მეუბნება და თვალები ნელ-ნელა სხვანაირი უხდება, -კრეატიული იყო მისი თითოეული გაკვეთილი, გარდა ქართული ენისა და მათემატიკისა, მან ხელოვნება უმაღლესად შეგვაყვარა და გვასწავლა, როგორ ვიაროთ, როგორ მივაღწიოთ წარმატებებს, დაგვამეგობრა ერთმანეთთან და გვასწავლა-ხელჩაკიდებულებმა ვიაროთ და ერთმანეთს დავეხმაროთ წარმატებების მიღწევაში.

***– საგნებიდან რომელს უფრო ინტერესით ეუფლები?***

- ისტორიას, ქართულს, ინგლისურს.

***– რომელი პროფესიის დაუფლება გინდა ?***

– მინდა გამოვიდე მომღერალი და იურისტი, ვნახოთ...

***– წარმატებები, ჩემო ლუკა...***

## მოჭიდავეები

### ლუკა დარისპანაშვილი



**გიორგიწმინდის** საჯარო სკოლის მეოთხეკლასელია. მეორე კლასიდან ჭიდაობს ესახელება -არსენა მეკოკიშვილის თანასოფლელობა და მისი მიზანიც სწორედ სახელის მოტანაა სოფლისთვის–ძალიან უნდა მსოფლიოს არ დაავიწყდეს არსენას მშობლიური სოფელი.

ხოდა, დაიწყო კიდეც. ჯერ საგარეჯოში დაამტკიცა, რომ მომავალი დაუმარცხებელი იზრდება გიორგიწმინდაში- სხვადასხვა ტურნირებზე, მერე -საქართველოში... კოპენჰაგენშიც ისახელა თავი, როგორც ძიუდოს კლუბ „საგარეჯო-2 „-ის წევრმა და 27 კგ წონით კატეგორიაში 4 შეხვედრა ჩაატარა, ოთხივე მოიგო და გიორგიწმინდას ოქროს მედლით დაუბრუნდა.

როცა შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ, გვითხრა: -დანია ძალიან სუფთა ქალაქია, სუფთა , მოვლილი ქუჩებითა და ბევრი, ძალიან ლამაზი კოშკებით, მაგრამ , ყველაზე ძალიან იმან გამაკვირვა, რომ იქაურები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ ქალაქს, თანაც ველოსიპედებით დადიან, მანქანას ვერ ნახავ ქალაქის ქუჩებში და რაც გასაკვირია, ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს იქ.

ლუკა თანაკლუბელებთან ერთად აპრილის ბოლოს უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში საერთაშორისო მნიშვნელობის შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას, სადაც ლუკამ დაამარცხა პოლონელი ძიუდოისტი, მაგრამ უკრაინელთან დამარცხდა და სწორედ ის გახდა 30 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული.

ლუკა ახალი გამოწვევებისთვის ემზადება. გულისყურით ეკიდება მწვრთნელების: ბადრი ბასილაშვილის, გოჩა მეკოკიშვილის დარიგებებს. გვაქვს იმედი- ლუკა მიაღწევს წარმატებებს, ორთაბრძოლაში გასვლის წინ მართლმადიდებლური სიდინჯითა და სასოებით იწერს პირჯვარს და რწმენით შედის ტატამზე, იცის ვისი გორისაც არის...

### დათო კევლიშვილი



**გიორგიწმინდის** საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელი. 6 წლისამ დაიწყო ვარჯიში გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში. მისი პირველი მწვრთნელი გოჩა მეკოკიშვილია.და იცით, რამდენი საბრძოლო ნადავლი აქვს?- 47 მედალი, აქედან 34 ოქროსია. დათომ დანიაში 34 კგ წონით კატეგორიაში 5 შეხვედრა გამართა და ოქროს მედალი დაიმსახურა, ბუდაპეშტში კი-ბრინჯაოს მედალი.

საოცრად უყვარს ჩაილურში გამართულ „ბერიკაობაში“ ჭიდაობა და საერთოდ, სახალხო დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება.

იცის, რომ იქ ქართული სული ტრიალებს, რომ ქართული ჟინითა და სიდარბაისლით ხვდებიან ერთმანეთს მოჭიდავეები, იცის, რომ მაყურებელი ქართული ჰაერითაა სუნთქვა შეკრული...

წინ დიდი სივრცე ელოდება, რომელიც დათომ თავისი წარმატებებით უნდა შეავსოს... გამარჯვების გზებით გევლოს, დათო!..

### ლევან კევლიშვილი



**გიორგიწმინდის** საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი. ჭიდაობის სექციაში 8 წლის ასაკში მივიდა. შრომისმოყვარე, გამარჯვებებისკენ სწორი, გამართული ნაბიჯებით მიდის. თუ არ გჯერათ მის მწვთნელებს-ბადრის და გოჩას ჰკითხეთ. ლევანმა 50 კგ წონით კატეგორიაში კოპენჰაგენში 6 შეხვედრა გამართა და მეორე ადგილი დაიკავა, ისე, სახლში 15 მედალი აქვს. რუსეთში პირველი ადგილი დაიკავა და ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი სიხარულით და მომავალი გამარჯვებების საწინდრად მიიღო.

ლევანი კოპენჰაგენის სისუფთავემ, სისადავემ, სილამაზემ და ადამიანების მხრიდან ქალაქის დიდმა პატივისცემამ გააოცა...

მიზნად დაისახა, უფრო მეტი ქალაქი გაიცნოს და თავისი გამარჯვებებით თავი დაამახსოვროს...

### თენგო ზირაქაშვილი



**მზისგულის** (ყოფილი ბოგდანოვკა) საჯარო სკოლის მეცხრე კლასის წარმატებული მოსწავლე.

ექვსი წლის წინ ვარჯიში მწვრთნელ გია ხოსიტაშვილთან დაიწყო. დაიწყო და რომ იტყვიან, შედეგებიც მალე დადო. ჯერ-ჯერობით, ოჯახის ღირსშესანიშნავი მოვლენების კუთხეს 25 მედალი ამშვენებს, აქედან 11- ოქროსია. 25 მედალი ცოტა როდია, მხოლოდ ძიუდოისტმა იცის, როგორ, რა ფასად შეიძლება ასეთი „დოვლათის“ მიღება. მის მისაღწევად რამდენი ვარჯიში, ოფლის ღვრა, სულისა და ხორცის წვრთნაა საჭირო, ზოგჯერ ბავშვურ სიამოვნებაზეც, საყვარელ სასუსნავზე უარის თქმა, ცელქობის მოთოკვა, თავდაჭერა და რაც მთავარია, ჯერ კიდევ ბავშვურ ასაკში ნებისყოფის წვრთნა. კარგმა მწვრთნელმა, რომელიც დიდი ფსიქოლოგიც და საოცარი, უზადო მეგობარიც აღმოჩნდა, იმ გზასავალზე გაიყვანა, საიდანაც მალე თავად გაუყვება დაბრკოლებებით, წინააღმდეგობებით სავსე ბილიკებს- გამარჯვებებისკენ და წარმატებებისკენ.

ამ წარმატებების ათვლა კი კარგა ხანია , დაიწყო. სულ ახლახანს თენგო კოპენჰაგენში ტატამზე მიღწეული წარმატებებით - ექვსი შეხვედრიდან პირველ ადგილზე აღმოჩნდა და ამ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 12 ქვეყნის 600 მონაწილე გამარჯვებისთვის იბრძოდა, საქართველოს ჰიმნი სწორედ მისი გამარჯვებით აჟღერდა.

აპრილის ბოლოს თენგომ კლუბი და საქართველო ბუდაპეშტში ასახელა, იქაც საქართველოს ჰიმნზე გასუსულმა დარბაზმა პირველ ადგილზე მდგომი კინაღამ სიხარულის ცრემლებით აატირა... სახლში კიდევ ერთი მედალი ჩაიბარა თაკომ, თენგოს დიდმა გულშემატკივარმა დაიკომ...

იცის თაკომ როგორი მგრძნობიარეა თავისი ძმა, თუმცა თენგოსთვის არასოდეს შეუმჩნევია ნერვიულობა, პირიქით, ყოველთვის მშვიდი, ყველა სიტუაციაში ინარჩუნებს სიმშვიდეს ისიც იცის, რომ თენგო დაიკოსთან და დედასთან ხელცარიელი არ დაბრუნდება და ყველა ქალაქიდან და ყველა ქვეყნიდან პატარა სუვენირს მაინც ჩამოუტანთ.

და ერთიც, თენგო ისე არ დატოვებს საქართველოს მიწას, თუ თავისი წინაპრების საფლავზე სანთლებს არ დაანთებს... დიახ, ასე წავიდა რუსეთში (სადაც მან მესამე ადგილი დაიკავა), ასე წავიდა დანიაში და ბუდაპეშტში.

სამომავლო მიზნები ნათელი და საინტერესოა, მოჭიდავეს იურისტობა უნდა, საამისოდ სკოლაში საკმაოდ წარმატებულად სწავლობს...

გამარჯვებები, წარმატებები შენს თითოეულ ნაბიჯს...

## მოჭადრაკეები

### ნინი აგულაშვილი



**ნინი** უფროს დასთან ერთად ჭადრაკის სექციის მოსწავლეა. საბავშვო ბაღიდან პირდაპირ გაკვეთილებზე მოდის და დიდი ნებისყოფით საათობით უზის ჭადრაკის დაფას. აინტერესებს და ყურადღების გარეშე არ ტოვებს ირაკლი მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას. სექტემბერში ნინი სკოლაში, პირველ კლასში მიდის, ჭადრაკზეც ივლის და ცეკვაზეც მივა, ახლა მხოლოდ ჭადრაკზე და მომღერალ ირინა ბაირამაშვილის სიმღერის გაკვეთილებზე დადის. უფროს დასთან ერთად უკვე რამდენჯერმე გამოვიდა სცენაზე, ნინი პირველი კლასისთვის ემზადება- იცის ანბანი, თვლა, ისწავლა ლექსები, მღერის ქართულ სიმღერებს და ძალიან უნდა ჭადრაკი ისე ისწავლოს, რომ ჩემპიონი გახდეს.

### ნიკა გილაშვილი



**საგარეჯოს** პირველი საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. კარგად იცის თავისი დღის რეჟიმი, ისიც იცის, აქ, ამ ბაღში ლია მასწავლებელი სასკოლოდ ამზადებთ. ძალიან, ძალიან ბევრი ლექსები ისწავლა, მაგრამ გამორჩევით უყვარს გიორგი ლეონიძის „ყორღანებიდან გნოლი აფრინდა“, რატომღაც ჰგონია, ყველა ქართველმა უნდა იცოდეს ეს ლექსი და მით უმეტეს, თუ საგარეჯოელი და პატარძეულელია.

– ისე, თუ არ იცი ეს ლექსი, არც ქართველი ხარ, – დაბეჯითებით ამბობს და გრძელი წამწამებიდან მომზირალი თვალებით გამომცდელად მიყურებს... ადვილად იმახსოვრებს ლექსებს, უყვარს ცეკვა, ბურთი, ცელქობა, ველოსიპედით სეირნობა და რა თქმა უნდა, უმცროსი დის – თეკლას „ზედამხედველობა“...

აინტერესებს მანქანები, იარაღი და... ჭადრაკი. ჭადრაკის სექციაში უკვე ერთი წელიწადია დადის. ელიკო მასწავლებელმა კარგად გაარკვია ყველაფერში და სახლში ოთარი პაპას „კარგ მეტოქეობას“ უწევს, მამიკოსთან აკეთებს გონივრულ სვლებს, დინჯად, მოთმინებით თამაშობს და ჩემპიონობაც უნდა.

ხო, კიდევ... ახლა სექტემბერში სკოლაში მივა, კარგად ისწავლის, მერე უმაღლესშიც ისწავლის, და იცით, ვინ უნდა გამოვიდეს?! – პატრული, წესრიგის დამცველი – თუ ვინმემ დაარღვია წესრიგი, აუცილებლად დავიჭერ და უწესრიგობას ავუკრძალავო, – დიდი კაცის ინტონაციით მეუბნება, – და კიდევ, საქართველოს დავიცავ და ქართულ მიწას, ჩემს სამშობლოსო.

ნიკას სახელი მამიკომ დაარქვა, თვითონაც იცის, ვისი სახელიც ჰქვია, – ნიკა გილაშვილი, ნიჭიერი, შესანიშნავი იურისტი, მამიკოს ბიძაშვილი ძალიან, ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა – სხვისთვის ნასროლ ტყვიას მკერდი შეუშვირა... ამიტომაც იცის ამ პატარა ბიჭმა, როგორი უნდა იყოს ქართველი, როგორ უნდა უყვარდეს ქართველობა და ადამიანობა.

### ნიკოლოზ ჩალათაშვილი და შიო შიოშვილი

**საგარეჯოს** 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოსაშვები ჯგუფის აღზრდილები არიან. დიახ, აღზრდილები, სამიოდე თვეში ისინი საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხებიან. ბევრი რამ ისწავლეს

დასასრული მე-7 გვერდზე

# ,,ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

# გარეჯელები – მიზადასახული და წარმატებულები

## მომღერალი, სწავლაში წარმატებული

### გიორგი ლაფაჩიშვილი



***საგარეჯოს I საჯარო სკოლის კურსდამთავრებული საგარეჯოელთათვის და არა მარტო ჩვენთვის საყვარელი ბიჭი, რომლის „Xფაქტორში“ გამოსვლას ინტერესით ადევნებდა თვალყურს არა მარტო თინეიჯერები, სოლიდური ასაკის საქართველოს მოქალაქეებიც. დიახ, გიორგის თავისი განუმეორებელი, თბილი ღიმილითა და მოციმციმე თვალებით, ხმის ულამაზესი ტემბრითა და შესრულების თავისებური მანერით ყველა ასაკის ადამიანის მონუსხვა შეუძლია.***

***დღეს გიორგი პოპულარულია სოციალურ ქსელებშიც. უამრავი თაყვანისმცემელი მის მიმართ საერთო სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს. ეფერება, წარმატებებს უსურვებს. გიორგი უკვე წარმატებული ახალგაზრდაა – როცა ამდენი სითბო და სიყვარული ტრიალებს შენს გარშემო, ესე იგი, მართლაც წარმატებული ხარ.***

***გიორგის ამ დღეებში შევხვდით, სკოლის დამთავრება მივულოცეთ და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.***

***– გიორგი, გილოცავთ სკოლის დამთავრებას და წარმატებებს გისურვებთ. უმაღლესი სასწავლებლის რომელ მიმართულებაზე აპირებ სწავლის გაგრძელებას და რატომ? რა ვიწრო სპეციალობა გაქვს არჩეული კონკრეტულად?***

– სწავლის გაგრძელებას ბიზნესისა და ტურიზმის განხრით ვაპირებ. ყოველთვის მაინტერესებდა ეს სფერო და ეს საქმიანობა. ვფიქრობ, რომ ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის.

***– როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო დასახული მიზნის მისაღწევად?***

– დასახული მიზნის მისაღწევად ადამიანმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოიყენოს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც ჩაფიქრებული გვაქვს და რისი გაკეთებაც მთელი გულით გვინდა. დასახული მიზნის მისაღწევად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მონდომებაა საჭირო.

***– რას ფიქრობ, მხოლოდ სკოლის კედლებში მიღებული ცოდნაა საკმარისი, თუ სკოლის გარეთაც უნდა ეძებო გზები განათლების მისაღებად?***

– რაღა თქმა უნდა, სკოლის კედლებში მიღებული ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული განვითარებისათვის, მაგრამ განათლება სხვა გზებითაც შეგვიძლია ვეძებოთ. დღევანდელ დროში, ვფიქრობ, რომ განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა.

***– ჩამოთვალე ის წარმატებები, რასაც შენ სკოლაში სწავლისას მიაღწიე...***

– სკოლის წარამტებების გარდა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება „Xფაქტორში“ მონაწილეობა იყო. აქ მართლაც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. გავიცანი ბევრი ადამიანი, მოვიპოვე დიდი სიყვარული და დღემდე ვცდილობ ეს სიყვარული ადამიანებს ორმაგად დავუბრუნო. ძალიან მალე ისევ მიხილავთ ტელეეკრანზე, რასაც ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ.

***– როგორ საქართველოში გინდა ცხოვრება?***

– მინდა თავისუფალ და გამთლიანებულ საქართველოში ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, რომელიც მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება აგებული.

***– უფალმა გისმინოთ, ცხოვრების ბილიკებზე მუდამ ამაყად, წარმატებულად გევლოს და შენი გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულის გამზიარებელი ყოფილიყოს სრულიად საქართველო.***

– მადლობა.

## FLEX-დან დიპლომატიისკენ

### გიორგი ესაიაშვილი

***საგარეჯოს II საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. სწავლასა და სკოლისგარეშე საქმიანობაში წარმატებული საკმაოდ „სოლიდურ“ ჯილდოს – ოქროს მედალს ელოდება. მანამდე კი მეტად საინტერესო, შინაარსიანი აღმოჩნდა 2016-2017 წლებიც. თუმცა ამაზე თავად გიორგი გვიამბობს:***



– შეგახსენებთ, რომ 2016-2017 წლებში ვიყავი გაცვლითი პროგრამის FLEX-ის მონაწილე (მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა), რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი აკადემიური წელი გავატარე. ეს მოვლენა ჩემთვის იყო როგორც დიდი გამოცდილება, ასევე, უზარმაზარი პასუხისმგებლობაც, რადგან, ფაქტობრივად, მე ვიყავი ჩემი ქვეყნის – საქართველოს ის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც ოჰაიოს შტატში ნახავდნენ. შესაბამისად, ვალდებული ვიყავი, მაქსიმალურად კარგად წარმომეჩინა საკუთარი თავი და, რა თქმა უნდა, საქართველო, ჩვენი კულტურა და ისტორია.

სწორედ ეს წელი აღმოჩნდა ჩემთვის გარდამტეხი და რადგან წასვლამდე X კლასში, ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი საკუთარი პროფესია, როგორც პატარა ქვეყნის პატარა „ელჩმა“ საკმაოდ დიდი მიზნები დავისახე და ამ მიზნებისათვის შრომას მალევე შევუდექი. ოჰაიოს შტატში განვახორციელე ორი ადგილობრივი პროექტი და მოვაგროვე ასორმოცდაათი მოხალისეობრივი საათი, რის გამოც ამერიკის მთავრობამ საკმაოდ მნიშვნელოვანი სერტიფიკატით დამაჯილდოვა.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გავხდი ამერიკის საბჭოს ქალაქის წარმომადგენელი და აქტიურად დავიწყე საგარეჯოს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართვა და ორგანიზება. ვთანამშრომლობ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან და საგარეჯოს წითელი ჯვრის ფილიალთან.

სულ რაღაც 2 თვის წინ ბულგარეთის საელჩომ გამოაცხადა ესეების კონკურსი „ევროკავშირი-2030 წელი“. ვინაიდან ჩემი მომავალი პროფესიაც სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებსა და გლობალურ მოვლენებს უკავშირდება, ჩავთვალე, რომ ეს კონკურსი სწორედ ჩემთვის იყო.

როგორც გამარჯვებული ესეს ავტორი, ბულგარეთის საელჩომ დამაჯილდოვა ოთხდღიანი ვიზიტით სოფიაში, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდა ჩემთვის.

სოფიაში მიმასპინძლა საგარეო საქმეთა სამინისტრომ და დიპლომატიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. 4 დღის განმავლობაში მქონდა საკმაოდ დატვირთული გრაფიკი შემეცნებითი სემინარებით, ტრენინგებითა და, რა თქმა უნდა დიპლომატიური შეხვედრებით.

გავეცანი ბულგარეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებს, შევხვდი ევროპარლამენტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორს და განვიხილე ახალგაზრდობის ჩართულობის პრობლემა პოლიტიკასა და დიპლომატიაში.

როგორც მოგეხსენებათ, ბულგარეთი წელს არის ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა. ჩვენმა შავიზღვისპირა მეზობელმა ფრიად საინტერესო გზა გაიარა და 2007 წელს ევროკავშირის წევრი გახდა. ჩემი აზრით, ეს უმნიშვნელოვანესი მაგალითია საქართველოსთვისაც, ჩვენი ევროინტეგრაციის გზაზეც, შესაბამისად შევეცადე მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიმეღო დიპლომატიის იმ ქვაკუთხედებზე, რომლებმაც ბულგარეთის ბედი გადაწყვიტა 2004 და 2007 წლებში.

***როგორც გიორგის საუბრიდანაც ჩანს, ის სწავლის გაგრძელებას საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით აპირებს. სურვილი საინტერესო და უამრავი ახალგაზრდის ოცნებაა დიპლომატის პროფესიის დაუფლება.***

***წარმატებები გარეჯელთათვის საამაყო ახალგაზრდას!***

## მოჭადრაკეები




**დასასრული**

საბავშვო ბაღში, ჯერ ერთი – ძალიან დამეგობრდნენ, დედებიც თანამშრომლები არიან, მერე ერთად დადიან ჭადრაკზე მასწავლებელ ირაკლი ქვლივიძესთან და ისეთი გულმოდგინებით უსმენენ მის ყოველ სიტყვას, რომ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დროებით მიჩუმათდება ხოლმე მათი სიანცე, მერე რა, რომ მათ გვერდით ბევრი თამაშობს ჭადრაკს, თვალებადქცეულები, გონებადაძაბულები ჩააჩერდებიან ჭადრაკის დაფას და მათ გარშემო სამყარო აღარც კი არსებობს...

ერთი წელია ჭადრაკის სექციაში დადიან. ამ ხნის მანძილზე რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ტურნირებში, კახეთში, თბილისში და ყველგან გამარჯვების ისეთი სურვილით იყვნენ ჩართული, რომ ცრემლებამდეც კი მიდიოდა თუნდაც ერთი დამარცხება.. სახლშიც თამაშობენ ჭადრაკს- მათთვის მარტო მამებს სცალიათ და როგორი სიამაყით მეუბნებიან, ერთხელ, ჯერჯერობით ერთხელ როგორ დაამარცხეს “მეტოქე”. ნიკოლოზს სამომავლოდ მსოფლიო ჩემპიონობა უნდა, მანმადე კი თურმე სიგელები და მედლები უნდა მოაგროვოს.

ახლახანს დედები კაბადოკიაში იყვნენ. ორივეს ვეკითხები:

***- ვინ იყო კაბადოკიიდან, აბა, თუ იცით?!***

- ნინო იყო, იესოს დედამ მარიამმა უთხრა , აიღე ჯვარი და წადი საქართველოში, ისინი გააქრისტიანეო და ნინოც წამოვიდა და როცა მოდიოდა ზღვა ღელავდა, მთებში თოვლი იყო, მაინც მოვიდა და გაგვაქრისტიანა, - მეუბნება ნიკოლოზი და ისე მიყურებს, აშკარად დასტურს ელოდება ჩემგან.

მეც ვეთანხმები.

– და კიდე წმინდა გიორგი, აი ცხენზე რომ ზის,- საუბარს აგრძელებს ნიკოლოზი,-

მეც როცა გავიზრდები მოჭადრაკე უნდა გამოვიდე და დიდი ხმალი და ფარი უნდა ვიყიდო, აფხაზეთში ვიცხოვრო და საქართველოსთვის ვიბრძოლებ, დავიცავ საქართველოს, - და თან კაბადოკიიდან ჩამოტანილ ხის ხმალს მიჩვენებს, - ეს სათამაშოა, მაგრამ, როცა დიდი ვიქნები აბჯარიც მექნება და ნამდვილი ხმალიც, ცხინვალიც უნდა დავიცვა...

შიოს მილიონერობა უნდა, არა, არა, თვითონვე ასწორებს- მილიარდერობა და ბევრ სახლებს იყიდიან აფხაზეთში და ცხინვალში და რუსებისგან დაიცავენ ქართულ მიწას

მაშ, საქართველო, მოდის შენზე უზომოდ შეყვარებული, შენი დამცველი თაობა, მანამადე კი უღრუბლო ცა ვუსურვოთ ჩვენს პატარა მეოცნებე მოჭადრაკეებს.

## ფეხბურთელი

### გიორგი (გიო) ბედიაშვილი



**თებერვლის** შემდეგ გიოს აღარ შევხვედრილვარ, უბრალოდ, ის თავის ხუთ თანაგუნდელ ( “გარეჯი”) ფეხბურთელთან ერთად ნოდარ ახალკაცის სახელობის ლაგოდეხის ფეხბურთის აკადემიაში ჩაირიცხა. 14 თებერვლიდან გიოსთან ერთად საბა ბაქარაშვილი, ნიკა მეკოშკიშვილი, ლაშა კერატიშვილი, ნიკა მაისურაძე, დაჩი მათიაშვილი სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ, სადაც გარდა ფეხბურთის თამაშისა ყველა სასკოლო დისციპლინას გადიან და რაც მთავარია, ქართველად ჩამოყალიბებას სწავლობენ. დიახ, დღეს სხვა დღის რეჟიმი აქვთ ბიჭებს- საკმაოდ დატვირთული, მაგრამ საინტერესო და მიზანმიმართული. გაისად ისინი გერმანიაში წავლენ სწავლის გასაგრძელებლად, იმ მიზნის მისაღწევად, რაც მათ დაისახეს – მსოფლიო ფეხბურთის დასაპყრობად.

მანამდე გიო საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეშვიდე კლსში სწავლობდა, სამ შვილში ნაბოლარა, მშობლების აზრით, სახლში ორი უფროსი შვილის სტუდენტობით გამოწვეულ “სიცარიელეს შეავსებდა”, მაგრამ თებერვლიდან გეოგრაფიულად უფრო დაუშორდათ. თუმცა, სიამაყე და გიოს ნათელი მომავლისკენ სწრაფვის სურვილი მშობლებს მისი მონატრების სიმძაფრეს უნელებთ და მთელი გულისყური მისკენ აქვთ.

—საოცრად დატვირთული, საინტერესოა მათი ყოველდღიური ცხოვრება,- მეუბნება გიოს დედა ლია ბუზარიაშვილი,- ყოველდღიური სამედიცინო კონტროლი, დატვირთული ვარჯიშები, გართობისა და სწავლისათვის გამოყოფილი დრო, ოთხჯერადი სრულფასოვანი კვება, მოზარდებს მეტ მოტივაციას სძენს ხალისიანი განწყობისათვის.

მათ ერთი დღე – კვირა დღე აქვთ თავისუფალი და იმ დღესაც გიო აქაურ კლასელებთან ატარებს .

- ყველაზე მეტად რა გენატრება ხოლმე?! – ვეკითხები გიოს.

- რა თქმა უნდა ჩემი სახლი, მშობლები, უფროსი და – ძმა, კლასელები, საგარეჯოს ქუჩები, მაგრამ, რა ვქნა, ფეხბურთის აკადემია კახეთში ლაგოდეხში გაიხსნა და ამ შანსის გაშვება არ შემეძლო, ჩვენ დიდი კონკურსის გავლა მოგვიხდა აკადემიაში მოსახვედრად.

- სპეციალობა, რომლის დაუფლებასაც ისურვებდი

- სწავლის გაგრძელება თავდაცვის აკადემიაში მინდა, შემდეგ სამოქალაქო განხრით გავაგრძელებ მოღვაწეობას,- უკვე დიდი, ზრდასრული ადამიანივით მპასუხობს.

თუმცა, რატომაც არა, ის ხომ უკვე სხვა ცხოვრებით ცხოვრობს თანატოლებისგან და აკადემიის გარეჯელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით - გიო მეკარეა, კახეთის მხარეში შეუდარებელი მეკარე თავის ასაკში და წვრთნებიც ინდივიდუალური და განსხვავებული აქვს, თუმცა, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭია.

წარმატებები გიო შენ და შენს გუნდელ გარეჯელ ბიჭებს!

ჩვენს მუნიციპალიტეტში

# „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“



**12 ივნისს**, შპს „სისხლის ბანკის“ ინიციატივით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია - „გაიღეთ სისხლი, აჩუქეთ ბავშვებს სიცოცხლე“. აქციაში მონაწილეობა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ* ალექსი გილაშვილმა,** (სურათზე) მერიის თანამშრომლებმა და ადგილობრივმა მოქალაქეებმა მიიღეს.

უანგარო დონაციის აქცია - „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე" ქვეყნის მასშტაბით, საკმაოდ ხშირად იმართება და საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებას ისახავს მიზნად. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები მსგავს აქციებში მონაწილეობას პერმანენტულად იღებენ.

# აზერბაიჯანელებისა და გარეჯელი აზერბაიჯანელების თანამშრომლობისათვის



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში გაჩნდა მოძმე აზერბაიჯანის საზღვრისპირა რეგიონებთან საგარეჯოს თანამშრომლობის პერსპექტივა, რასაც მუნიციპალიტეტის მერია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება.

კერძოდ,საერთაშორისო ორგანიზაციები „სამოქალაქო განვითარების სააგენტოსა(CIDA)“ და „West Resource Public Union“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებენ ერთობლივ პროექტს - „ახალგაზრდა მეწარმეთა სინერგია“. პროექტის ერთ-ერთი მიმართულებაა კახეთის რეგიონის და მათ შორის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მეგობარ ქვეყანასთან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა. საამისოდ კი, პირველ ყოვლისა, აუცილებელია არსებული შესაძლებლობების, გამოწვევების განსაზღვრა და ადგილობრივი მხარეების ჩართულობით შესაბამისი სამოქმედო გეგმის მომზადება.

ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით, „საკონსულტაციო კომპანია PMO“ აქტიურად ხვდება როგორც კერძო სექტორის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებს. შეხვედრების მიზანია, მომზადდეს საჭირო რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

PMO-ს სპეციალისტებმა ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა 11 ივნისს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საგარეჯოს თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში სანდრო უსტიაშვილი, მერიის პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებში თამარ ურდულაშვილი, ასევე მერიის თანამშრომლები: ნინო ქურხული, ანი ანუაშვილი, მარი აზარიაშვილი და ირაკლი თულაშვილი.

შეხვედრისას განიხილეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ხელშეწყობისთვის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტები და აზერბაიჯანის საზღვრისპირა რეგიონებთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. შემუშავდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

„საკონსულტაციო კომპანიის“ წარმომადგენლის ანა თექთურმანიძის ინფორმაციით, ეს იყო პირველი, გაცნობითი და სამუშაო შეხვედრა. უახლოეს პერიოდში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა ჩართულობით შეიქმნება შერეული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს დასახული მიზნით გეგმების მომზადებას და მათ ეფექტურად განხორციელებას.

# მთის კანონი და ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლები



**„მაღალმთიანი** რეგიონების განვითარების შესახებ“ დადგენილებამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არაერთ მცხოვრებსაც მოუტანა სიკეთე. „მაღალმთიანი დასახლების ნუსხის“ მიხედვით, სტატუსი მიენიჭა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 17 სოფელს: მარიამჯვარს, ანთოკს, სათაფლეს, ზემო ყანდაურას, გომბორს, რუსიანს, ვერონას, ვაშლიანს, ასკილაურს, უჯარმას, პალდოს, მუხროვანს, კოჭბაანს, ოთარაანს, სასადილოს, გორანას და იკვლივ გორანას.

2015 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 15 იანვარს შეიქმნა „სათათბირო ორგანო–საბჭო“. მისმა წევრებმა ნაყოფიერად იმუშავეს მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის“ მინიჭებაზე, რაც გამოიხატებოდა თითოეული დაინტერესებული მოქალაქის საკითხის შესწავლასა და შესაბამისი ცნობების გაცემაში.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი“ აქტიური აქვს 1192 მოქალაქეს.

**სტატუსის ითვალისწინებს შემდეგ სოციალურ შეღავათებს:**

ა) საპენსიო ასაკს მიღწეული მცხოვრებლებისთვის, ყოველთვიურად, საპენსიო დანამატის სახელმწიფო პენსიის 20 პროცენტის ოდენობით გაცემას;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის ყოველთვიური დანამატის გაცემას;

გ) ექიმებისთვის ხელფასის გასამმაგებას და ექთნებისათვის ხელფასის გაორმაგებას; დ) აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური გადასახადის 50 პროცენტის ანაზღაურებას;

ე) მაღალმთიან დასახლებებში დაბადებული თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემას, არანაკლებ 100 ლარისა, ერთი წლის განმავლობაში;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულების მასწავლებლის ხელფასზე 35 პროცენტიანი დანამატის გაცემას;

ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლებისათვის მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით გაცემა;

თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებში მონაწილე მასწავლებლებისათვის შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით გაცემას;

ი) მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებლები სარგებლობენ საშემოსავლო და ქონების გადასახადებში საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათებით.

***2015 წლის 19 ნოემბრის №519 დადგენილების 3–ე მუხლის მიხედვით სტატუსის მინიჭების ძირითადი პირობაა, შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:***

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) დარეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს დაინტერესებული მოქალაქეებისგან განცხადებებისა და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღებას, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სოციალურ სფეროში. მოქალაქეებს მომსახურებას უწევს „სათათბირო ორგანო–საბჭოს“ წევრი, ნინო ქურხული.

„სათათბირო“, რომელსაც მერის მეორე მოადგილე პაატა ასრათშვილი ხელმძღვანელობს, უახლოეს პერიოდში დაიწყებს თითოეული დაინტერესებული მოქალაქის საკითხის განხილვას და მიიღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების შესახებ.

## სპორტი

### მორიგი წარმატება ჭადრაკში

# შოთა ინწკირველის თასი საგარეჯოშია



**12-16 ივნისს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა შოთა ინწკირველის მემორიალი 7 და 9 წლის მოჭადრაკე გოგონებსა და ჭაბუკებს შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭადრაკეებმაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 7 წლის საბრი ფართლის (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) ტრიუმფი. მან დაუმარცხებლად განვლო ტურნირი, მხოლოდ ორი ყაიმს დასჯერდა და 5 მოგებით, ანუ 6 ქულით პირველი ადგილი და შოთა ინწკირველის თასი მოიპოვა.

გოგონათა შორის 7 წლამდელ ასაკში მონაწილეობდნენ ანა ბუზარიაშვილი (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) და მარიამ აგულაშვილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) და ორივემ არცთუ ცუდად ითამაშა. აღსანიშნავია მარიამის შესანიშნავი სტარტი – მან მეორე ტურში დაამარცხა ტურნირის ფავორიტი ფოთელი ნია ჭითანავა და ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად მოიაზრებოდა, მაგრამ ტურნირის მეორე ნახევარში შეუძლოდ მყოფმა ვერ შეძლო სრულყოფილად თამაში, სამი პრაქტიკულად მოგებული პარტია ყაიმით დაასრულა, ერთში კი დამარცხდა და საბოლოოდ 4.5 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი 6 ქულით ნია ჭითანავა გახდა, რომელსაც მარიამთან განცდილი მარცხის შემდეგ ქულა აღარ დაუკარგავს. ანა ბუზარიაშვილმა კი 3,5 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო მწვრთნელისათვის, რომელშიც გაიმარჯვა ირაკლი ქვლივიძემ, მან ყველაზე მეტი – 33 ქულა დააგროვა (საბრის 20 და მარიამის 13 ქულა) და გადეცა სპეციალური თასი.

ერთი წლით უფროს ასაკში – 9 წლიან ჭაბუკებში პირველად ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობდნენ იოსებ დარბაისელი და ერეკლე ქურხული (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) და შედეგიც მოკრძალებული იყო.

ვულოცავთ ირაკლი ქვლივიძეს და მის აღსაზრდელებს ამ წარმატებას და ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ.

### ახლადრეაბილიტირებულმა სტადიონმა ნორჩი ფეხბურთელები მიიღო

# ამხანაგური შეხვედრა სუმგაითის „ხაზარის“ ფეხბურთელებთან



**ამა წლის** 4 ივნისს საგარეჯოს ახლადრეაბილიტირებულმა სტადიონმა მეტად საინტერესო და ჩვენს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის სასარგებლო ასპარეზობას უმასპინძლა. რეზო ხებრელაშვილის, გია ილაურისა და მალხაზ ნიჟარაძის აღსაზრდელი „გარეჯის“ 2008-2009-2010 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა ამხანაგური შეხვედრა გამართა საქართველოში სტუმრად მყოფ აზერბაიჯანის ქ. სუმგაითის საფეხბურთო გუნდ „ხაზარის“ თანატოლებთან. ეს პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩია ამ ახალ სტადიონზე. რაც შეეხება შეხვედრას, იგი საინტერესოდ წარიმართა – იყო ბევრი საგოლე მომენტი და იმედგაცრუება, როგორც სტუმრების, ისე მასპინძლების მხრიდან. მატჩის პირველ ტაიმში კი მაინც „გარეჯელებზე“ მეტად „ხაზარის“ გამოცდილმა ფეხბურთელებმა იმარჯვეს და ორი უპასუხო გოლი გაიტანეს მასპინძლების კარში. ამას მოჰყვა მეორე ტაიმში ჩვენი ფეხბურთელების გააქტიურება და 9 წლის სანდრო ერბოწონაშვილმა მეტოქის კარის იერიში საუკეთესო გოლით დააგვირგვინა. ამის შემდეგ საგოლე მომენტები უხვად იყო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, თუმცა ფეხბურთელებმა ეს შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს. აშკარად დასანანი იყო მატჩის ბოლო წუთებზე ცხვარიაშვილის მიერ საგოლე მომენტის გამოუყენებლობა, რომლითაც თითქმის ასპროცენტიანი შესაძლებლობა იყო მატჩის ფრედ დასრულებისა.

ამხანაგური შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენ შევხვდით და ამ მატჩისა და სამომავლო ამოცანების შესახებ ვესაუბრეთ პატარა გარეჯელების მწვრთნელს **მალხაზ ნიჟარაძეს** და **გელა ხებრელაშვილს**.

***– ბატონო მალხაზ, როიგორი გუნდია სუმგაითის „ხაზარი“ და ვისი მეშვეობით მოხვდნენ ისინი საგარეჯოში ამხანაგური მატჩის გასამართად?***

– „ხაზარი“ კარგად ჩამოყალიბებული საფეხბურთო გუნდია, რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა. როგორც იცით სუმგაითი საფეხბურთო ქალაქია და მათ კარგი ტრადიციები გააჩნიათ. რაც შეეხება მათ საგარეჯოში ჩამოსვლის მიზეზს, ისინი სტუმრად იმყოფებოდნენ რუსთავში, სადაც შემთხვევით შევხვდი და შევთავაზე საგარეჯოში ამხანაგური შეხვედრის გამართვა. თავდაპირველად „ხაზარის“ მწვრთნელები უარზე იყვნენ, მაგრამ როცა გაიგეს, საგარეჯო რუსთავიდან 40 კილომეტრში მდებარეობს, ხალისით დაგვთანხმდნენ წინადადებაზე.

***– რას გვეტყოდით „ხაზარის“ მასპინძელი თქვენი აღსაზრდელი „გარეჯის“ ფეხბურთელების შესახებ?***

– 2008-2009-2010 წლებში დაბადებულ „გარეჯის“ ფეხბურთელთა გუნდი გასული წლის სექტემბერში დაკომპლექტდა. ჩვენი ადრინდელი სამუშაო პირობების შესახებ თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ის დახმარება, რაც გაგვიწია საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის დირექტორმა ნელი ბალახაშვილმა, რომელმაც ზამთრის პერიოდში სკოლის სპორტულ დარბაზში ვარჯიშის ჩატარების ნება დაგვრთო და ამით ჩვენი ვარჯიშები არ შეწყვეტილა. სადღეისოდ ჩვენი გუნდი ჩაბმულია გიგა ნორაკიძის სახელობის ტურნირში, ვარჯიშებს კი ახლადრეაბილიტირებულ სტადიონზე ვაგრძელებთ. გვყავს ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშეები, მოგვივიდა მეკარეების კარგი ნაკადი – გიორგი მეკოკიშვილი და მიხეილ ტალანოვი და ახლო მომავალში მათგან კარგ შედეგებს ველით.

***– რას ფიქრობთ, აპირებთ საპასუხო ვიზიტით სუმგაითში სტუმრობას?***

– არ ვიცი, რამდენად შევძლებთ, მაგრამ მანამდე გეგმაში გვაქვს ქ. ქობულეთში 10 დღიანი შეკრების გავლა, სადაც მონაწილეობას მივიღებთ შავიზღვისპირეთის ქვეყნების საფეხბურთო ტურნირში, რომელშიც ჩვენთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, თურქეთის ფეხბურთელები. სხვათა შორის „ხაზარის“ მწვრთნელების განცხადებით, ისინიც აპირებენ ქობულეთში შეკრების გავლას და ადვილი შესაძლებელია ჩვენი გუნდები აქ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. რაც მთავარია, ჩვენს შორის უკვე გაივლო მეგობრობის ხაზები და მჯერა რომ ეს მეგობრობა კარგ შედეგს მოუტანს ორივე გუნდს.

*გივი დაბახიშვილი*

## ჭადრაკი

# „სპორტი ბარიერების გარეშე“



**ბავშვთა** და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით მიმდინარე წელს ტარდება „სპორტი ბარიერების გარეშე“ შეჯიბრი სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში, 2002, 2003 და 2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. პირველ ეტაპზე ჩატარდა შიდასასკოლო შეჯიბრებები, შემდეგ კი რაიონული ასპარეზობა, შემდეგ კი რეგიონული. ჩვენი რაიონიდან წარმატებით იასპარეზეს მოჭადრაკეებმა, ამიტომ მათ შედეგებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ტურნირები ჭადრაკში ტარდებოდა ოლიმპიური სისტემით, თხუთმეტწუთიანი პარტიები. რაიონულ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ნიკა კევლიშვილმა (ვაჟები საგარეჯოს I საჯარო სკოლა). მეორე ადგილი დაიკავა გიგი როსტომაშვილმა (საგარეჯოს II საჯარო სკოლა). გოგონებში გაიმარჯვა ეთერ ხებრელაშვილმა (საგარეჯოს I საჯარო სკოლა), ხოლო II ადგილზე გავიდა ლალი გარსიაშვილი (საგარეჯოს II საჯარო სკოლა).

ოთხივე მათგანს რაიონის გამგეობამ გადასცა სიგელები.

ამის შემდეგ – 31 მაისს თელავში ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი, სადაც ვაჟებში I ადგილი დაიკავა ნიკა კევლიშვილმა, ხოლო ეთერ ხებრელაშვილი მეორე ადგილზე გავიდა გოგონათა შორის. აღსანიშნავია, რომ ეთუნა იგებდა შეხვედრას, მაგრამ ცაიტნოტში „საათი ჩამოუვარდა“. ორივე მოჭადრაკე დაბადებულია 2004 წელს და ორივეს მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე.

ორივე მოჭადრაკე დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით, მედლებითა და სიგელებით. ორივე მათგანი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც გაიმართება ანაკლიაში.

# როინ ყორღანაშვილის სახელობის ტურნირი

**29-30 მაისს** საგარეჯოს სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონის ქართულ ჭიდაობაში და ჭიდაობა სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჭიდაობა სამბოში როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-18 საერთაშორსო ტურნირი ძიუდოში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისი, თბილისის „შევარდენი“, ჯორჯია, ლიდერი, კაიზერი, ოლიმპიური ცენტრი, ოლიმპიური რეზერვების სკოლა, კასპი, ლილო, სამგორი, მცხეთა, მარნეული და საგარეჯოს ნაკრები გუნდები, ასევე აზერბაიჯანის 9 მოჭიდავე – სულ 106 მონაწილე. შეჯიბრებაში საგარეჯოს სპორტგაერთიანების მოჭიდავეებმა წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავეს და აიღეს სხვადასხვა სინჯის მედლები, კერძოდ, პირველი ადგილები დაიკავეს: **ონისე ბორაშვილმა** (30 კგ წონითი კატეგორია), **დავით კევლიშვილმა** (34კგ), **ნიკა თათრიშვილმა** (38კგ), **მირიან კურდღელაშვილმა** (55კგ), **გიგი ხოსიტაშვილმა** (60კგ), **თენგო ხებრელაშვილმა** (73კგ), **ლაშა მამულაშვილმა** (მძიმე წონა).

II ადგილები დაიკავეს: **ვახტანგ ჭიაბერაშვილმა** (30კგ), **გიორგი დურიშვილმა** (66კგ), **ნიკა ნოზაძემ** (81კგ), **სანდრო სონიშვილმა** (მძიმე წონა).

მესამე ადგილები დაიკავეს: **ვახტანგ ჭიაბერაშვილმა** (34კგ), **თენგო მაისაშვილმა** (42კგ), **გიორგი სონიძემ** (46კგ), **გიგა მესტვირიშვილმა** (46კგ), **მურაზ ხუდოიანმა** (50კგ), **გიორგი მაჩურიძემ** (55კგ), **ლაშა ლოლაძემ** (66კგ), **ლუკა სიმონიშვილმა** (73კგ), **თამაზ გოგიაშვილმა** (81კგ), **მიხეილ გურგენიძემ** (მძიმე წინა).

პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

*ბიჭიკო მარიდაშვილი,*

***საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში***

# კულტურის ქრონიკები

## „გოგლაობა"

**16 ივნისს** პატარძეულში სახალხო დღესასწაული – "გოგლაობა" ჩატარდა. გაიმართა კონცერტი რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლები „ჩინარი“ და „გარეჯი“. საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობებმა გოგლას ნაწარმოებების პერსონაჟები გააცოცხლეს. ღონისძიებას გოგლა ლეონიძის ოჯახის წევრები, პოეტები, მწერლები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის მოადგილეები ალექსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი რომან მუჩიაშვილი, მერის წარმომადგენელი საგარეჯოში იოსებ მარხვაშვილი, და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





## „ჩინარი“-ს შემოქმედებითი საღამო



**31 მაისს**, კულტურის სახლის მცირე დარბაზში, ქალთა ფოლკლორული ანსამბლ "ჩინარი"-ს შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ეს ის ანსამბლია, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ხელოვნების დამსახურებულ მუშაკს, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს **ნელი გულიკაშვილს.**

ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოს მუსიკალურ ფესტივალებში. 1991 წელს ანსამბლი დაჯილდოვდა „ვერცხლის ლირათი“ და დიპლომით, ანსამბლის ხელმძღვანელის ნელი გულიკაშვილის მიერ შექმნილი „იავნანა“ შესულია მსოფლიოს 20 იავნანაში.

1996 წლიდან ანსამბლს „ჩინარს“ „სახალხო ანსამბლის“ წოდება მიენიჭა. წელს ანსამბლს დაარსებიდან 33 წელი შეუსრულდა, ანსამბლის ახალი წევრებიდან უმრავლესობა პროფესიით პედაგოგია, ისინი ასრულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციულ სიმღერებს, მონაწილეობენ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში. რეპერტუარი ყოველწლიურად ახალი სიმღერებით ივსება და მდიდრდება. ჩინარელები მღერიან ქართველი პოეტების ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, რომელთა მუსიკის ავტორი რიგ შემთხვევებში თავად ხელმძღვანელი ქ-ნი ნელია. ანსამბლში დღეს უკვე „ჩინარის“ მესამე თაობა მღერის.

„ჩინარელების“ თაყვანისმცემლებს აწ სტუმრად მოწვეულმა „ჩინარის“ პირველი თაობის წარმომადგენელმა მთვარისა მთვარაძემ თავისი სიმღერით სწორედ ის პირველი თაობის „ჩინარელები“ გაახსენა, რომლებიც მოსკოვისა თუ სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დიდ საკონცერტო დარბაზებსა და კონკურსებში ამაყად ასრულებდნენ ქართულ ფოლკლორულ სიმღერებსა და მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქ-ნ ნელი გულიკაშვილს, „ გარეჯობის“ დღესასწაულზე მუნიციპალიტეტის სხვა დამსახურებულ ადამიანებთან ერთად „საპატიო გარეჯელის" წოდება მიენიჭა. საპატიო მიზეზების გამო, ის ვერ დაესწრო დაჯილდოვების ცერემონიას და საღამოზე ***მუნიციპალიტეტის მერმა* გიორგი ერბოწონაშვილმა** მას „ საპატიო გარეჯელი"ს - მედალი და დიპლომი გადასცა.

„საპატიო გარეჯელი"-ს მედალი და დიპლომი ასევე გადაეცათ ქ-ნ თამრიკო გოცირიძეს და ბ-ნ ლევან თედიაშვილს, რომლებიც მაყურებელთა შორის იყვნენ.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ა.ი.პ კულტურის ობიექტების გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საღამოზე „ჩინარი“ მაყურებლის წინაშე ძველი და განახლებული რეპერტუარით წარსდგა. მათ გამოსვლას მაყურებელი დიდი სიყვარულით შეხვდა.

# გამოსათხოვარი

## ფრიდონ ბურდული



**მძიმე** ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე (2014-2017წწ) ფრიდონ ბურდული.

დაიბადა ქ. საგარეჯოში 1960 წლის 21 აგვისტოს. 1977 წელს დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1983 წელს.

1983-85 წლებში იყო კლინიკური ორდინატორი თბილისის კარდიოლოგიის კვლევით ინსტიტუტში.

1985-1989 წლებში თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტია.

1989 წლიდან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და კარდიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

1996-2012 წლებში შპს „კარდიო-ექსპრესის“ ექიმი კარდიოლოგია.

2004-2012 წლებში შპს „ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალის“ ექიმი კარდიოლოგია.

2012 წლის მაის-ივნისში შპს „თე“-ს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელია.

2014 წლის იანვრიდან შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მულტიპროფილური კლინიკის ექიმი-კარდიოლოგია, ხოლო იმავე წლის ივნისიდან 2017 წლის ნოემბრამდე იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გარდაცვალებამდე კი „ჯეოჰოსპიტალსის“ რეგიონული უფროსი.

გამოცემული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი.

სადაც კი იმუშავა, როგორც ექიმმა, როგორც ხელმძღვანელმა პირმა, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც გულისხმიერმა, პროფესიონალმა ექიმმა, უღალატო მეგობარმა და შესანიშნავმა ხელმძღვანელმა.

რამდენიმე თვის წინ მძიმე სულიერი ტრავმა გადაიტანა – მისი ქალიშვილი – მარიანა, სამი ტყუპი ვაჟის დედა, უკურნებელ სენთან წლების განმავლობაში მედგრად მებრძოლი დამარცხდა... ბატონმა ფრიდონმა ამ პატარა, დედით ობოლი ბიჭების სანდრო, ალექსანდრე და ნიკოლოზ მარგალიტაძეების გასაზრდელად დადო პირობა – იცოცხლებდა და...

მაგრამ... მისი სული მარადიულობას შეუერთდა, შვილთან ერთად ამ პატარა ბიჭების შესთხოვს უფალს.

სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა თქვენს სულებს.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

# გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში მდებარე გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმს 2018 წლის 17 აპრილს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სახლი აშენებულია გიორგი ლეონიძის მამის - ნიკოლოზის მიერ, რომელიც პატარძეულში წმ. შიოს ტაძარში საწირველად XIX ს. 60-იან წლებში გადმოიყვანეს. სახლს სრულად აქვს შენარჩუნებული ნიკოლოზისეული სახლის სახე. 1968 წლიდან იგი გამოცხადდა გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმად.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია რიყის ქვითა და აგურით დუღაბზე. ორივე სართულზე ორ-ორი ერთმანეთის გვერდით განლაგებული ოთახია, რომლებიც ერთმანეთს შიდა კარით უკავშირდება. სახლის ზურგის კედელი ყრუა. ეზოს მხრიდან ორივე სართული ოთხ-ოთხი სარკმლითა და ორ-ორი კარითაა გახსნილი. პირველი სართულის გვერდითა კედლები ყრუა, მეორე სართულზე კი სარკმლებია გაჭრილი. მეორე სართულს წინ მთელ სიგრძეზე ხის აივანი გასდევს, რომელზე ასასვლელიც გვერდით მიდგმული ორნაწილიანი კიბითაა. აივანი ხის სვეტებზეა დაყრდნობილი. პირველ სართულს აგურის ფილაქანი აქვს აივნად. დასავლეთის მხარეს, აივნის ქვეშ ღია ბუხარია გაკეთებული. პირველი სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე კონტრფორსია მიდგმული.

პირველ სართულზე მდებარე ოთახები სამზარეულო და სარძევე იყო (ამჟამად სარძევე ოთახში მუზეუმის ადმინისტრაციული ოთახია განთავსებული), მეორე სართულზე საცხოვრებელი ოთახებია. პირველი და მეორე სართულის თითო ოთახში თაღოვანი ბუხრებია.

სახლს აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვს მარანი. მარნის ზურგის კედელზე თაღჩებია გაკეთებული, ხოლო სახლის კედელზე ხის დიდი საწნახელია მიდგმული. მიწატკეპნილ იატაკში ქვევრებია ჩაყრილი. მარანი ხის ორფერდა საყრდენებზე დალაგებული კრამიტითაა გადახურული.

სახლს აქვს თავისი საგვარეულო ეზო, რომელიც ხის ღობითაა შემოღობილი. ჭიშკარი ხისაა. გოგლას საგვარეულო ეზო ახლა ორ ნაწილადაა გაყოფილი. მათ ერთმანეთისგან სოფლის ორღობე ყოფს. სახლის ეზოსგან მოწყვეტილი ნაწილი ასევე შემოღობილია და ახლა იქ მხოლოდ სველი წერტილი დგას.

სახლში დაცულია: გოგლას საწოლი ტახტი, დიდი საოჯახო ტახტი, რომელზეც დაიბადა გოგლა, პოეტის საგვარეულო ავეჯი, მისი კოსტუმი, პირადი ნივთები და ასევე ლადო გუდიაშვილის ორი ნახატი - გოგლას ორი პორტრეტი.

სახლი წარმოადგენს XIX ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლისთვის დამახასიათებელი სახლის ტიპის მშვენიერ ნიმუშს, რომელსაც თითქმის სრულად აქვს შემონახული თავდაპირველი სახე და ამდენად ის ***ეთნოგრაფიული ძეგლის ნიშნის მატარებელია.***

**გაზეთის დღევანდელი ნომერი ათგვერდიანია**

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru